

სოფიკო კიკაბიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ხელმძღვანელი: თეატრალური ხელოვნების დოქტორი გიორგი აფხაზავა

რეზიუმე

რას ნიშნავს „სამაია“ და რას გვიმხელს მისი სახისმეტყველება? საინტერესოა, ის ერთი სიტყვის მნიშვნელობას წარმოადგენს თუ „სამაია“ ორი დამოუკიდებელი სიტყვის ნაერთია? მაგალითად სამა-ია, სამ - აია. ამ სიტყვათა განმარტებისას ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე არსის მატარებელ კოდირებულ სიტყვას ვიღებთ. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ასევე, სვეტიცხოვლის ფრესკაზე აღბეჭდილ ფიგურათა პლასტიკური ფრაგმენტი ადასტურებს ცეკვა „სამაიას“ რელიგიურ ხასიათს.

„სამა“ - სინონიმი: სამობა. სამობა - „სამსა სამობას შინა...“¹ სამობა - იგივეა, რაც სამება. „თეთრი ია მარიამ ღვთისმშობლის ემბლემას წარმოადგენს“.²

„აია“ - წმინდას ნიშნავს, როგორც ქრისტიანულ რელიგიაში, ასევე გვხვდება ყურა-

ნის ტექსტში და „აია“ იმ თავებს წარმოადგენს, რომლებშიც ეს სიტყვა გამოყენებულია, როგორც ბუნებაში ღმერთის არსებობის, წინასწარმეტყველური გამოცხადებათა ჭეშმარიტების სასწაულებრივი მტკიცებულება. ეს სახელწოდება მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოს ისტორიასთან, „აია“ - კოლხეთის დედაქალაქი (დღევანდელი ქუთაისი - „ქვათაია“). კოლხეთის მეფის, აიეტის სახელსაც ქალაქ „აიას“ სახელწოდებასთან მივყავართ, კუნძული „აია“, რომელიც აიეტის დის, კირკეს სახელთანაც ასოცირდება. აგრეთვე, საინტერესოა ქართული საწესჩვეულებო წინა სააღდგომო და ბზობის რელიგიური რიტუალი „აიობა“, „ბაიობა“, რომელიც არამართო სამეგრელოში, ასევე აფხაზეთსა და სვანეთშიც გავრცელებული იყო და დღემდე შემორჩენილი.

¹ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. 187.

² კენჭაშვილი, სიმბოლიკები.

მაშასადამე, ასეთი განმარტებით შეგვიძლია სამ-აია-ს სიტყვათა წყობით მისი სახისმეტყველება ვივარაუდოთ: სამი - სამება, აია - წმინდა - წმინდა სამება, სამი წმინდა, სამი ღვთაება, სამი ნიშანი, სამების

მაღლი. ყოველივეს შეჯამების საფუძველზე, ცეკვა სამაია გამოდის არა მხოლოდ საცეკვაო წარმოდგენა, არამედ რიტუალური და უმთავრესად საღვთისმეტყველო ინფორმაციის მატარებელი სახისმეტყველება.

„სამაიას“ სახისმეტყველება

საკვანძო სიტყვები: სამ - აია, სამა- ია, სამაია, სახისმეტყველება, ცეკვა, სამა, სამობა, ფსალმუნი, აია, მზე, რიტუალი

რას ნიშნავს „სამაია“? როკვას? ფერხისას? ფერხულს? ცეკვას? ლექსზე აწყობილ ამბავს? მზის თაყვანისცემას? თამაშობა-სანახაობას? საქორწილოს? ძეობას? რიტუალს? სამ-აიას? თუ ფსალმუნის სახისმეტყველებას?...

გავიხსენოთ სამაიას შესახებ ისტორიული მონაცემები. „როკვა“, „ფერჯისა“, „ფერხული“ - ეს უძველესი ტერმინები ქართულ საცეკვაო კულტურაზე მიგვანიშნებს, რომელთა შინაარსიც განსაზღვრავს როგორც მის ისტორიას, ასევე ფორმასაც. შევეცდები, მოვძებნო სიტყვა „სამაიას“ განმარტება. ქართულში მრავლად გვხვდება ორი სიტყვისგან შედგენილი სიტყვები, როგორც დამოუკიდებელი, ისე ერთიანი შინაარსით. საინტერესოა, სამაია არის ერთი მთლიანი, თუ მისი წარმოშობის მომენტში შეერთდა ორი სიტყვა. მაგალითად: სამა - ია, სამ - აია.

სულხან-საბა ორბელიანთან „სიტყვის კონაში“ მოხსენიებულია სიტყვა როკვა, რომელიც იგივეა, რაც ცეკვა, იგივე, რაც სამა და იგივე, რაც მსგავსი დანარჩენი. ესე იგი, სულხან-საბა ცეკვის მნიშვნელობას ორი დამოუკიდებელი სიტყვით აღნიშნავს: „როკვა - (14,6 მათე) სამა, ცეკვა და მისთანანი“.¹ სულხან-საბა ცეკვა „სამაიაზე“ ინფორმაციას გვაწვდის სიტყვით „სამა“, რომელსაც სხვადასხვა ტერმინთა და სიტყვათა განმარტებაში მოიშველიებს. საინტერესოა, ამ განმარტებებში როგორი კონტექსტით არის

¹ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 537.

„სამა“ წარმოდგენილი, მაგალითად: „თამაშა თათრულად სანა-ხაობას ნიშნავს, ხოლო **თამაშობა** ქართულად მღერა **შექცევათა** სახელია და ესეც იყოფა ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, **როკვად და შექცევად**, ... როკვა არს სამა, ცეკუა, ბუქნა, კოჭა, ფერჟული, მგრგვალთ წყობა და რაოდენიცა ებანთა და ფანდურთა მიერ იქმნებიან...“.¹ ესეიგი, „სამას“ ქმედების დროს ებანი და ფანდური გამოიყენებოდა. ებანი პირველად „დაბადებაში“ გვხვდება, როგორც ჩანს, იგი უძველესი დროიდან არის ცნობილი. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, თავდაპირველად ებანის დანიშნულება როკვისას საკრავთა მწყობრში სიმღერა, გალობის თანხლება იყო.² სულხან-საბას განმარტების მიხედვით, „**თამაშობა**“ იგულისხმება „**სამას**“ ჩაბმა და მისი სანა-ხაობა, „სამა“ ებანთა თანხლებით სიმღერისა და გალობის ფონზე სრულდებოდა.

„სამა“ - სინონიმი: სამობა.

სამობა - „სამსა სამობას შინა...“.³

სამობა - იგივეა, რაც სამება.

სიტყვის დაბოლოება - „ია“ მოვიძიე სულხან-საბას იმავე ლექსიკონში. „ია-ყვავილი გაზაფხულისა“.⁴ „თეთრი ია მარიამ ღვთისმშობლის ემბლემას წარმოადგენს“.⁵ იისფერი სამოსლის ფერებში წმინდანთან მსახურების განსაკუთრებულობის, ანდა ინდივიდუალურობის აღსანიშნავად გამოიყენება. „ია“ - ყვავილი, თავმდაბლობის სიმბოლოა ქრისტიანულ მოძღვრებაში. ესე იგი, „სამაია“ უფლის მიმართ თავმდაბლობის, ლოცვის გამომხატველია.

დავით ჩუბინაშვილი რუსულ-ქართულ ლექსიკონში ცეკვას⁶ როკვით ხსნის და სამაიას ფერხულში აღნიშნავს, როგორც „სამაია, ფერხისი ქალთა“.⁷

ქართული ხალხური ცეკვის ისტორიაში უძველესი ძეობის რიტუალი ფიქსირდება, რომელშიც ქალთა მიერ შესრულებული „სამაია“ მოხსენიებული, ამის შესახებ დოკუმენტურ წყაროს

¹ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 133.

² ჯავახიშვილი, ქართული, 1990, გვ. 48.

³ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1980. გვ. 187.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 143.

⁵ კენტაშვილი, სიმბოლიკები.

⁶ Чубинов, Русско-грузинский, 1846, ст. 1166.

⁷ იქვე, გვ. 1143.

სტატიის სახით ჯამბაკო ორბელიანიც გვაწვდის. ის გვამცნობს: „მოვყვებით აქედან ანუ პირველ ყმაწვილის დაბადებიდან: უწინდელ დროს ჩვილი ყმაწვილი რო დაიბადებოდა, თან უნდა სიმღერით ეთქვოთ ეს ლექსი, ქალებს და ყმაწვილკაცებს. „მზე შინაო, მზე შინაო, მზეში შამოდო“ – და სხუანი“.¹

სიმბოლურად ნათქვამი „მზე შინაოს“ სულხან-საბა განმარტავს ასე: „მზე ესე არს მეოთხესა ცასა ზედა, რომელსაც ეწოდების **კოჭიმელი**“.² კოჭიმელი მეოთხე ცას აღნიშნავს, რომელიც მომცრო ზომისაა. **კოჭი** მოკლე და მომცრო სართული.³ **მელი** – მელია (მათე 8,20).⁴ სულხან საბას მოჰყავს მაგალითი მათეს სახარებიდან: „[...] იესომ უთხრა მას: „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველთ ბუდეები. კაცის ძეს კი არ გააჩნია, სად მიიდრიკოს თავი“. სულხან-საბას მიერ განმარტებისთვის მოყვანილი სახარებიდან ეს აბზაცი განსაზღვრავს „მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდი“ ტექსტის შინაარსს, უფლის სახლში მოპატიუების და საცხოვრებლის უფლის სახლად დამკვიდრების მიზნით. ესე იგი, სახლი, როგორც უფლის მომცრო სამყოფლის, მეოთხე ცის (მზის სამყოფლის, მზის შინას) მსგავსად სიმბოლურად აღინიშნება. აქვე საყურადღებოა, რომ „მზე შინა და მზე გარეთას“ ტექსტი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება, მაგრამ „მზე შინა და მზე გარეთას“ ფრაზა უცვლელია. ასევე, ხათუნა დამჩიძე აღნიშნავს: „[...] რატომ ეწოდება ჩვეულებრივ სტრუქტურის ხატობაზე შესასრულებელ ფერხულს „სამაია“... თუ ტექსტს მივყავით, „სამაიასთან“ კავშირი წყდება. უნდა აღინიშნოს რომ ტექსტი, რომელიც სიმღერებში ისმის, თითქოს, კავშირში არ არის მის სახელწოდებასთან, რადგან ტექსტის ნაწილი „სამაია, სამთაგანა არ იქნება ორთაგანა“ გრძელდება სრულიად სხვა შინაარსის მატარებელი ტექსტით“.⁵

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელი ფოლკლორული ტექსტების ცვლა და, ასევე, სხვადასხვა ვარიანტით წარმოდგენა თავისებურნიშნებს შეიცავს: დროში ცვლას, თაობათა ცვალებადობის, ადგილმდებარეობის, თემის ან დიალექტის მახასიათებლის, ტრა-

¹ ჯამბაკო ორბელიანი, ივერიანელების, ჟურნალი ცისკარი, 1861, გვ. 147.

² სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 207.

³ იქვე, გვ. 173.

⁴ იქვე, გვ. 202.

⁵ დამჩიძე, საქართველოს, 2022–2023, გვ. 224.

დიციებისა და რიტუალების, ყოფითი წეს-ჩვეულების მიხედვით და ასე შემდეგ. აქვე, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მიუხედავად ამ ცვალებადი ნიშნებისა, ტექსტის ძირითადი არსის სახისმეტყველების მაჩვენებელი ფრაზები უცვლელი რჩება.

ჯამბაკო ორბელიანის ჩანაწერში ვხვდებით ქორწილში „სამაიას“ აღწერას: „[...] ბევრი რიგი თამაშობა არის ჩუქნში მღერით. მაგრამ ერთსიმათგანს ვიტყვ, იმ **თამაშობას და იმშექცევას...**“¹ როგორც ცნობილია, „სამაია“ ძეობის რიტუალის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ, ჯამბაკო ორბელიანის მიერ ქორწილის შესახებ ჩანაწერის მიხედვით, მასობრივი სანახაობრივი ფორმა ფიქსირდება „**თამაშობა-შექცევის**“ სახით.

ვახუშტი ბატონიშვილი დაწვრილებით აღწერს ქართველთა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო რიტუალს და წეს-ჩვეულებას, მათ შორის, ძეობის რიტუალსაც, რომლის დროსაც მოიწვევდნენ მენესტვეებს და „სამთა გვამთა მიერ ერთმანეთის ხელკიდებით...“² ჩააბამდნენ „სამიას“. ვახუშტი ბატონიშვილის ჩანაწერი ჯამბაკო ორბელიანის მიერ ქორწილში „**თამაშობისა და იმ შექცევის**“³ აღწერილობის მსგავსია, მხოლოდ აქ უკვე „სამაია“ „**სამაიად**“ მოიხსენიება.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემულ ამ ძეობის რიტუალის აღწერაში მენესტვეთა არსებობა „სამიასთან“ ერთად ფსალმუნების კითხვაზე მიუთითებს, რადგან დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებში ნახსენებია მენესტვენნი, როგორც ფსალმუნის კითხვის დროს თანმხლები ჟღერადი ფონი. ჩასაბერ საკრავთა, კერძოდ, სტვირთა ნაირსახეობაზე ფსალმუნებში ამოვიკითხავთ: ფსალმუნი 97(6) – „**ნესტვთა ჭედილითა და წმითა ნესტვსა** რქისადთა ღალადებდით წინაშე მეუფესა უფლისა“.⁴ ფსალმუნი 150, 3 – „[...] აქებდით მას **წმითა ნესტვსადთა**, აქებდით მას ფსალმუნითა და ებნითა...“ და ასე შემდეგ.

წმ. იოანე ოქროპირი ფსალმუნს განმარტავს ასე: „ფსალმუნი გალობა ყოველისთვის წარმოადგენს ზეიმს მოხარულთათვის და

¹ ჯამბაკო ორბელიანი, ივერიანელების, ჟურნალი ცისკარი, 1861, გვ. 147.

² საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვახუშტი ბატონიშვილი, ისტორიული აღწერა, 1914, გვ. 18-19.

³ ჯამბაკო ორბელიანი, ივერიანელების, ჟურნალი ცისკარი, 1861, გვ. 147.

⁴ ტელიძე, ფსალმუნი 97, 2006.

ნუგეშის-ცემას მოწყინებაში მყოფთათვის“.¹ ვინაიდან, ყველაზე ძველ წყაროში - ფსალმუნებში ფიქსირდება საკრავი „ნესტვი“, მისი ხმოვანება „*წმითა ნესტვსა*“ და მასობრივი ხმაშეწყობილი ფორმა „*ძნობა*“, აშკარაა, რომ ეს ტერმინები საუკუნოვანი შენარჩუნებით და მათი დატვირთვით კიდევ უფრო ადასტურებს ძეობის რიტუალის რელიგიურ დანიშნულებას.

მენესტვეთა ჩართულობა „სამიასთან“ ერთად უკვე ფსალმუნთა სტვირზე ჰარმონიულად აჟღერებული უფლის სადიდებელი უნდა ყოფილიყო. ანალოგიურად, ამ ვარაუდის მიხედვით, სვეტიცხოვლის ფრესკაზე მოცემული მუსიკოსთა დასიც ადასტურებს ფსალმუნთა შესრულებას და კრავს მთელი ფრესკის კომპოზიციის შინაარსს, რის საფუძველზეც მრავალ საცეკვაო კულტურათაგან ფრესკაზე აღსაბეჭტად გამოირჩა „სამაია“. მასზე მკვეთრად ასახულია მანდილით ხელში მდგარი ქალთა ჯგუფი. მათი დინამიკა და ცენტრში განლაგებული მუსიკოსთა გუნდის გამოსახულება ადასტურებს, რომ ეს სცენა ცეკვის ფრაგმენტს წარმოადგენს. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მონასტრების დღესასწაულების დროს ყოველივე საერო ბნე-ჩვეულების გამოხატულების წინააღმდეგ გაილაშქრა და აკრძალა“.² ამრიგად, საეკლესიო რიტუალის ჩატარების გარდა, ტაძარში ყველა სხვა ქმედება აკრძალული იყო, რამაც საფუძველი მისცა, არსებული საერო თუ რომელიმე ღვთაებისადმი განხორციელებულ სარიტუალო ქმედებებს გარე სივრცეში გადაენაცვლათ. მიუხედავად ამისა, ამ კანონიკური წესის დამკვიდრებიდან XVI-XVII საუკუნეების ფრესკაზე აღიბეჭდა საცეკვაო ქმედება, რომელიც ქრისტიანული სამყაროსათვის ყოვლად მიღებული აღმოჩნდა. ისმის კითხვა: **რამ განაპირობა ეს ფაქტი?** ქართული ცეკვის თანხლებით გადმოცემული კონკრეტული ამბავი ექვემდებარება XVI-XVII საუკუნეების კანონიკურ წესებს. თავისუფლად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ფრესკაზე აღბეჭდილი ცეკვა „სამიას“ კანონიკურობაზე, რადგან ზემოთ მოყვანილი მეცნიერთა ვარაუდის და კვლევების შეჯამების საფუძველზე შემთხვევაში, ვასკვნით ცეკვა „სამიას“ რელიგიურ სახისმეტყველებას.

¹ შალამბერიძე, წმინდა, 1995, გვ. 338.

² ჯავახიშვილი, ქართული, 1990, გვ. 217.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა და სულხან-საბას მიერ მოწოდებული დამოუკიდებელი სიტყვების – „სამა“ და „ია“ განმარტების შემდეგ საინტერესოა „სამა“ – „აიას“ მნიშვნელობა.

აია – (ბერძნულად **Ἄγια**) წმინდას ნიშნავს, ასევე როგორც წმინდა სამება – **αγίας τριάδας**, აია წმინდა სოფია – **ΑγίαΣοφία**, ან წმინდა ათონის მთა – **Ἄγιον Ὄρος**. „აია“ ასევე გვხვდება ყურანში [ნაბარაბულად **آيَا**]. აია – „ყურანის ტექსტის შემადგენელ სურებში (თავებში) არსებული დანაყოფი, ყურანის ლექსი. ყურანის ტექსტში ეს სიტყვა გამოიყენება ბუნებაში ღმერთის არსებობის, წინასწარმეტყველურ გამოცხადებათა ჭეშმარიტების სასწაულებრივ მტკიცებულებად, რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს ნიშანს, სასწაულს. ძირითადი [ა/ა/ა] ყურანში გვხვდება **382**-ჯერ არსებითი სახელი ფორმით **აია** შემდეგი მნიშვნელობით: 1. ნიშანი; 2. ყურანის ერთეული – აია; 3. სასწაული; 4. ღვთაებრივი მადლის ნიშანი“. ¹ ჩვენ მესამე სურის (ანუ თავის) მესამე აიაში ამოვიკითხავთ: „(შუამავალო!) მან თანდათან ზემოავლინა შენზე ჭეშმარიტი წიგნი, დასტურად იმისა, რაც მის უწინარეს იყო; და მოავლინა თევრათი (თორა) და ინჯილიც (სახარება)“.²

აიას ქართული წარმომავლობა – სად გვხვდება საქართველოში სიტყვა აია? „აია“ კოლხეთის უძველესი სახელია, რომელსაც არაერთი მითოლოგიური თუ ისტორიული წყარო ადასტურებს და უკავშირდება კოლხეთის მეფე აიეტს. „...აიაიე“ გამოიყენება „კოლხიკეს“ ნაცვლად ადგილის სახელის მიხედვით. „აია“ კოლხეთის ქალაქია სხვებთანაც და ლიკოფრონთანაც. „აიას“ მოქალაქე კაცი „აიაიოსია“, მოქალაქე ქალი – „აიაია“. კირკეს კუნძულსაც „აიაია“ (ჭქვია) ამავე კირკეს გამო. თუ კუნძულ „აიაიას“ თავდაპირველი სახელი ორი აი-თ აქვს, იქაურ კირკესსაც მესამე აი უნდა ჰქონოდა, რათა ყოფილიყო „აიაიაიე“, რაც არ გამოიყენება ცუდი ჟღერადობისა და უკვე თქმული ომონიმის გამო. გეოგრაფი სტრაბონი ასახელებს ქალაქ „აიას“ ფაზისზე და ამბობს, რომ კოლხეთის ამ „აიასთან“ არის კირკეს კუნძული „აიაიეც“. გმირმა აიეტმა რომ სახელი ამავე „აიადან“ მიიღო, ამას ძველი მწერლები ცხადყოფენ“.³ არგონავტების მითში ქვეყანას, სადაც მათ ილაშქრეს,

¹ ბოჭორიშვილი, ისლამი, 2022, გვ. 16.

² ყურანი.

³ ურუშაძე, ძველი, 1964, გვ. 183.

ეწოდება „აია“ და მის დედაქალაქს (დღევანდელი ქუთაისი) - აია.¹ მეცნიერთა აზრით, არგონავტების მითის პირველი სახე უნდა შექმნილიყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელი „კოლხიდა“ არ არსებობდა და ამ მხარეს ერქვა სხვა სახელი - აია: მიწა ქვეყანა.² ჰომეროსის ძვ.წ. IX – VIII საუკუნეების „ოდისეა“ წარმოადგენს უძველეს წყაროს, რომელშიც მოხსენიებულია კოლხეთის პირვანდელი სახელწოდება „აია“...³ ჰომეროსმა არ იცის სახელი კოლხეთი, მაგრამ მის მაგივრად ახსენებს „აიას“. ოდისეაში გეოგრაფიული სახელი „აია“ მოხსენიებულია სამ ადგილას, რომლის მიხედვით „აია“ არის ქვეყანა, რომელშიც მზე იწყებს ამოსვლას (XII, 1-4).⁴ ასევე, ოდესეაში აღნიშნულია: „[...] აიას მივალწიეთ, სად კირკე მკვიდრობს...“.⁵ ასევე, „კირკეს კუნძულის სახელწოდება „აიაიე“, რომელიც „აიას“ კუთვნილს, მის ნაწილს აღნიშნავს და მისი მდებარეობა აიეტის ქვეყანაშია“.⁶ ჰეროდოტე წერს: „გრძელი ჰომადლით მოსცურეს „აია“ კოლხიდაში, მდინარე ფასისთან“.⁷

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „აია“ კოლხეთის დედაქალაქს დღევანდელი ქუთაისი წარმოადგენდა, რომელიც ძველ წყაროებში მოხსენიებულია „კვტაიას“,⁸ „ქვათაიას“ სახელწოდებით. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველეს გამოქვაბულთა არსებობა მიგვანიშნებს მის სახელწოდებაზე - „ქვად“- კლდე გამოკაფული, როგორც ქვაბი;⁹ აია - წმინდა; ესე იგი, წმინდა ქვაბი კლდე გამოკაფული. ვინაიდან, ქალაქიც და კუნძულიც „აია“-თია მოხსენიებული, „აია“, „აია“ და „ქვათ - აია“-ც წმინდას და წმინდა გამოქვაბულთა კომპლექსს, ან ერთი რომელიმე გამოქვაბულის მიმართ მინიჭებულ სახელს ადასტურებს. ასეთმა თანმიმდევრულმა წყობამ, ასევე, შეიძლება, „მზე შინა და მზე გარეთას...“ და, ასევე, „სამაია სამთაგანა, ვერ იქნება ორთაგანას“ არსთან, მის უძველეს პერიოდთან მიგვაახლოვოს. (სამთა) განა, როგორც სულხან-საბა განმარტავს, „განა ესრე არს რა ვიმოწმებდეთ თხრობათა შინა ვეტყვით:

¹ ურუშაძე, ძველი, 1964, გვ. 8.

² გოზალაშვილი, მითრიდატე, 1965, გვ. 8-9.

³ ჰომეროსი, ოდისეა, 1979, გვ. 53.

⁴ იქვე, გვ. 24.

⁵ იქვე, გვ. 49.

⁶ იქვე, გვ. 214.

⁷ ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტე, 1975, გვ. 29-30.

⁸ ურუშაძე, ძველი, 1964, გვ. 182.

⁹ სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 372.

განა ესრე თქვა? განა ესრე გესმის? განა ესრეთ იხილე?“. ¹ ესე იგი, „განა“ – „სამთა“, როგორც უფლის ერთარსის, სამების დამოწმებას ნიშნავს.

აია – აიობა (აფხაზურად) – ბზობის წინა კვირა, ხოლო „ბაიობა“ – ბზობა. ² ნუგზარ ანთელავა „აიას“ დღესასწაულს ასე აღწერს: „ამ დღეს აფხაზები თავიანთ საცხოვრებლებს გაზაფხულის ყვავილებით მორთავდნენ, მსხვერპლშეწირვა ან სხვა, რამ საკულტო მსახურება არ იცოდნენ; დილიდანვე საზოგადოებრივი თავშემყრის ადგილებში იკრიბებოდნენ და საღამომდე ცეკვით, ბურთის თამაშით, ჭიდაობით, ქვებისა და იარაღის მიზანში სროლით, ცხენების ჯირითით ერთობოდნენ“. ³ (როგორც სულხან-საბა აღნიშნავს, თამაშობა – სამა, ასპარეზი, შეჯიბრი...) ამავე ენციკლოპედიაში ნახსენებია „ბაიობაც“, რომელი წეს-ჩვეულებაც აფხაზებს მეგრელებისგან ჰქონიათ ნახესხები. ნიკოლოზ ჯანაშიას ვარაუდით, აფხაზური „აიობას“ სახელწოდება „აიას“ (მეგრულად), კერძოდ, ყვავილი „იასგან“ წარმოშობილი უნდა ყოფილიყო (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ია თავმდაბლობის ნიშნად მიიჩნევა). მისი გადმოცემით, საწესჩვეულებო დღემდე „აიობამდე“ სამი კვირის განმავლობაში აკრძალული იყო ყოველგვარი გასართობი და სამიწათმოქმედო ხვნა-თესვის სამუშაოები. ⁴

სამეგრელოშიც ანალოგიურად ემზადებოდნენ და დიდმნიშვნელოვნად ხვდებოდნენ დიდმარხვის მეხუთე კვირადღეს, ანუ ბზობის წინა კვირას. ეს ღირსშესანიშნავი დღეც ზემოთ აღწერილ წეს-ჩვეულების მსგავსად ტარდებოდა. „აიობა“ იხსენიება განსაკუთრებით მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულთა ჩამონათვალში, რომლის დროსაც იცოდნენ ასევე ცეკვა, მარულა, მიზანში სროლა, ჭიდაობა და სხვა სახის შეჯიბრებები და იების ერთმანეთისთვის მირთმევა და სახლების მოკამზმვაც. ყვავილები მიჰქონდათ ნათესავთა საფლავებზეც.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა:

აიარე, ბაიარე,

ბაიაში წორი თანა ფარე,

ქირსე რენი დო კალანდა რე,

¹ სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 63.

² ბახია-ოქროაშვილი, აფხაზურ-ქართული, 2020, გვ. 37.

³ ანთელავა ენციკლოპედია, 2006, გვ. 11.

⁴ Джанашиа, Статьи, 1960, ст. 33.

წაკურთხია ჯგირი დღა რე.¹

და ესე განიძარტება – აიაა, ბაიაა (ბზობაა), ბაიას (ბზობის) სწორი აღდგომაა, ქრისტეს შობა და კალანდაა, წყალკურთხევა კარგი (წმინდა) დღეა. სამეგრელოში მეხუთე კვირა დღეს – „აიააჟაშხას“ („აია კვირა დღეს“) და მეექვსეს – „ბაიააჟაშხას“ („ბაია კვირა დღეს“ – „ბზობის კვირა დღეს“) უწოდებენ. ასეთი ეპითეტები კვირადღის, ანუ მზის დღის, თანდათანობით მეტი მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობს, რაც, შესაძლოა, აღდგომის მოახლოებას უკავშირდება. ნიკოლოზ ჯანაშია აღნიშნავს, რომ არც სახელწოდებაში და არც საამდღისო ღონისძიებებში არ ჩანს ზოგადად ქრისტიანობასთან, კერძოდ კი, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებული საკულტო ქმედებები, ის მიეკუთვნება უფრო ძველ საკულტო პროცესებს. ასტროლოგიურად გაზაფხულის პერიოდში დაწყებული აღდგომამდე მზე ცაზე ყოველ კვირას ნელ-ნელა მალლა იწევს, როგორც ჩანს, ეს მნათობი „აიობის“ დღისთვის ცაზე მნიშვნელოვან სიმალლეს აღწევს, რის საფუძველზეც მკვლევარი მოიაზრებს, რომ „აიობა“ გაზაფხულის ბუნიობისადმი მიძღვნილ დღესასწაულთა ციკლის ერთ-ერთ დღეობას წარმოადგენს. მისი თქმით, ამ აზრს უფრო აძლიერებს ფაქტი, რომ სწორედ აიობაზე იცოდნენ ბურთის (ბურთი კი მზის სიმბოლოა) პირველი თამაში და ეს დღე ყვავილების დღედ მიიჩნეოდა. ამგვარად, ბუნიობის პერიოდში ბუნებაში ციკლური ცვალებადობის მიმდინარე პროცესებს უკავშირდება და ის აღქმულია, როგორც კრიტიკულ დროდ, როცა კოსმიური წესრიგის, წონასწორობის რღვევის საშიშროება დგება. სწორედ ამიტომ ეწყობა „აიობის“ დღეს ლოცვები და შეჯიბრებების სახით ტარდება მაგიური ხასიათის სხვადასხვა თამაშობები.² ასე აღწერს „აიას“ დღესასწაულთან დაკავშირებულ ქმედებებს, სარიტუალო პროცესს და მზის ციკლის მდგომარეობას ნიკოლოზ ჯანაშია.

საინტერესო ცნობას გვაწვდის თეიმურაზ მიბჩუანი სვანეთში უძველესი მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ღვთაება „აიას“ შესახებ: „სვანებმა იცოდნენ ამ ღვთაების დღის აღნიშვნა, რასაც „აიამიშლადელ“ („აიასკვირა“) ეწოდებოდა. „აიას“ ღვთაება ქვემო სვანეთში დღემდეა შემონახული... ერთ სვანურ ხალხურ ლექსში

¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოვიკი – აიობა.

² Джанашиа, Статьи, 1960, ст. 33-45.

ნათქვამია: „აია, ბაია დალინჩალი, ლინჩალის მშვიდობით ჩავა-
როს, თანაფა მშვიდობით მოსულიყოს“. ამ ლექსში ჩამოთვლი-
ლი ღმერთებიდან „აია“, „ბაია“, ყველაზე ადრინდელია. „აია“ და
„ბაია“ უძველესია და შუმერულიდან მომდინარე უნდა იყოს. რო-
დესაც ამ ლექსს ამბობენ, ცეკვის დროს ხელში პური უკავიათ, რო-
მელსაც შუაში ხვრელი აქვს, მასში ნელ-ნელა ყრიან ფქვილს და
ზემოთ მოტანილი ტექსტის წამღერებით და ცეკვით ილოცებიან.¹

მაშასადამე, ასეთი განმარტებით შეგვიძლია სამ-აია-ს სიტყვა-
თა წყობით მისი სახისმეტყველება ვივარაუდოთ: სამი - სამება, აია
- წმინდა, სამაია - წმინდა სამება, სამი წმინდა, სამი ღვთაება, სამი
ნიშანი, სამების მაღლი. ყოველივეს შეჯამების საფუძველზე, ცეკვა
სამაია გამოდის არა მხოლოდ საცეკვაო წარმოდგენა, არამედ რი-
ტუალური და უმთავრესად საღვთისმეტყველო ინფორმაციის მა-
ტარებელი სახისმეტყველება.

ამგვარი სახისმეტყველების განხილვით, „სამაია“ უძველეს სა-
ხელწოდებად გვესახება, რომელმაც ქართულ მეხსიერებაში კვა-
ლი დატოვა და დროს გაუძლო თავისი მყარი შინაგანი არსით, სა-
ხისმეტყველებით, სიღრმით, ენერგეტიკით, რომლის ფესვებიც სა-
ქართველოს ისტორიასთან გვაბრუნებს და ღვთის სადიდებლად
მოვლენილი ეს ქმნილება დღევანდელ რეალობაშიც ავლენს იმ
ესთეტიკას, რაც მის სიდიადეში, მონუმენტურობასა და გრაციო-
ზულობაში გამოიხატება. სოლიკო ვირსალაძის მიერ ესკიზში გა-
ცოცხლებული „სამაიას“ გამოსახულება ანარეკლია ფასეულობა-
თა ნაკრებისა: რწმენა, ისტორია და ის ღირებულებები, რომლებიც
უწყვეტად გვაკავშირებს „სამაიას“ სახისმეტყველებასთან, მის ინ-
ფორმაციასთან და მის ისტორიასთან. ვირსალაძემ „სამაიას“ სა-
ხე სწორედ რომ იმ ღირებულებით გადმოსცა, რასაც ეს უძველესი
ცეკვა იმსახურებდა, მან შთაგონების წყაროდ გამოიყენა საქარ-
თველოს ისტორიაში ყველაზე ღირებული თამარ მეფის ფრესკა.
კოსტიუმში გამოყენებული ფერები ზუსტად ესადაგება ქართული
ფრესკისა და ხატწერის კანონიკას. თვალ-მარგალიტით მოჭედილ
სამოსთა მორთულობა, ფსალმუნთა მიმართ შემკობილ სიტყვას
ჰგავს. ვირსალაძის „სამაია“ აღმატებული ფორმაა სხვა ქართული
საცეკვაო კოსტიუმებისგან განსხვავებით და სწორედ ასეთი სახით
შექმნილი ფორმა, როგორც გაცოცხლებული ფრესკის შთაბეჭდი-

¹ მიბჩუანი, დასავლეთ, 1989, გვ. 189-191.

ლებას ტოვებს, ასევე გვევლინება მაღალი სიტყვის გადმოცემის მშვენიერებად.

„სამაიას“ განძი მეტად საყურადღებოა მისი მთავარი და უძველესი სახისმეტყველების გამო და აუცილებელია მისი UNESCO-ს სიაში შეყვანა. სხვადასხვა კვლევის მიუხედავად, „სამაიას“ შესახებ ძირეული ინფორმაცია არ გაგვაჩნია. საქართველოს ისტორია არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი წყარო, ასევე, „სამაიას“ იდუმალი სახისმეტყველება შორეული წარსულის ინფორმაციის მატარებელია. ყოველივე ამის გამო, ჩემი აზრით, მისი სახისმეტყველება ბევრად ღრმა კვლევის აუცილებლობას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანთელავა ნ., ენციკლოპედია, აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, თბ., 2006.
- ბაგრატიონი ა., წყობილსიტყვაობა, თბ., 1980.
- ბახია-ოქროაშვილი ს., აფხაზურ-ქართული ეთნოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 2020.
- ბოჭორიშვილი ს., ისლამი: ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2022.
- გოზალაშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965.
- დამჩიძე ხ., საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის საცეკვაო დიალექტი, კრებული Art კვლევები, თბ., 2022-2023.
- კენჭაშვილი გ., სიმბოლიკები ქრისტიანულ ხელოვნებაში. <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/dictiona/document/HASH014c64c07bdabc62986435c4.4?p.s=TextQuery> 12.11.2024.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოვიკი, აიობა. https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90?fbclid=IwY2xjawGt01BleHRuA2FibQIxMAABHX4jXkqzpe3FKU8B3JQ5JQJZQL-3k3jBYtUbuH0UD7bgMufj5HjdtwJNNA_aem_ZjGnqBkY3TmEymoPTsjPcQ 12.11.2024.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვახუშტი ბატონიშვილი, ისტორიული აღწერა, თბ., 1914.

- სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949.
- მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
- ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
- შალამბერიძე გ. (რედაქტორი), წმინდა მამათა მოკლე განმარტებითი ლოცვანი, თბ., 1995.
- ჯავახიშვილი ი., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.
- ჯამბაკო ორბელიანი ა., ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი, ჟურნალი ცისკარი, თბ., 1-ელი იანვარი, 1861.
- ყაუხჩიშვილი თ., ჰეროდოტე „ისტორია“, ტ. I, თბ., 1975.
- ჭელიძე ე. (რედაქტორი), ფსალმუნები, ტ. IV, თბ., 2006.
- ჰომეროსი, ოდისეა, თბ., 1979.
- Джанашиа Н. С., Статьи по этнографии Абхазии Сухуми, 1960.
- Чубинов Д., Русско-грузинский словарь, 2ч., Санкт-Петербург, 1846.
- ყურანი. <https://archive.org/details/QuranGEO/page/n25/mode/1up>
<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90> 12.11.2024.

Sofiko Kikabidze,
Shota Rustaveli Theater of Georgia
and a doctoral student at the State University of Cinema,
Director: Doctor of Theater Arts, Giorgi Abkhazava

„SAMAYIA“ FACIAL EXPRESSION

Abstract

What does „Samayia» mean and what does his facial expression say about it? Let’s try to find the definition of the word „Samayia“. I wonder whether it represents the meaning of one word or if „Samayia“ is a combination of two independent words. For example, Sama-ya, Sam-ayia. We get a coded word with the same essence when interpreting these words in both cases. Based on various sources, the plastic fragment of the figures depicted on the Svetitskhovli fresco confirms the religious nature of the dance „Samayia“.

In the history of Georgian folk dance, an ancient ritual of celebrating a child’s birthday is recorded, which mentions the participation of „Samayia“ in the performance of three performers. Jambako Orbeliani also provides us with a documentary source in the form of an article.¹ It is worth noting that the text of the poem is attached to the ritual, the first phrase of which remains unchanged, while the rest of the text changes over time depending on the specific impact of various factors. It can be said that the change of folklore texts, characteristic of oral folk speech, as well as its presentation in different versions, contains its characteristics: change of time, change of generations, place of residence, thematic or dialectal features, traditions and rituals, regional features, etc. Judging by the main phrase of the text, the religious nature of Samaya is confirmed even more thoroughly.

Vakhushti Batonishvili describes in detail various Georgian everyday rites and customs, including the ritual of „Samaia“, performed by three people, during which invited musicians played

¹ ჯამბაკო ორბელიანი, ივერიანელების, შურნალი ცისკარი, 1861, გვ. 147.

instruments on which only psalms were read.¹ In the Psalms of the Prophet David, the instrument „trumpet“, in Georgian „ნეტვი“, is mentioned as a sound background during the reading of the psalm. The inclusion of these instruments along with „Samyia“ was supposed to become a harmoniously sounding praise to the Lord during the Psalms. According to this assumption, the troupe of musicians on the Svetitskhovli fresco also confirms the performance of psalms and covers the content of the composition of the entire fresco, based on which „Samyia“ stands out among the many dance cultures on the fresco.

„Sama“ is a synonym: for Trinity. Trinity – „Three is the same as Trinity“.² „ია“ – (ya) in Georgian is violet, and white violet is the emblem of the Virgin Mary.³

„Ayia“ – means holy, as in the Christian religion, is also found in the text of the Koran, and „Ayia« represents those chapters in which this word is used as a miraculous proof of the existence of God in nature, the truth of prophetic revelations. This name is closely related to the history of Georgia. „Ayia“ is the capital of Colchis (today’s Kutaisi – Kvataya). The name of the Colchian king Aiet is also associated with the name of the city „Ayia“. The island of „Ayia“, which is associated with the name of Ayeti’s sister Kirke, is also interesting for its traditional Georgian pre-Easter and religious ritual „Ayioba“. „Bayoba“, which was widespread not only in Samegrelo, but also in Abkhazia, and Svaneti, and has survived to this day. Therefore, with such a definition, we can assume the language of the Sami-Aya by the word order: Tri-Trinity. Ayia – holy – Holy Trinity, three saints, three deities, three signs, the grace of the Trinity. If we sum it all up, the samaya dance turns out to be not only a dance performance, but also a facial expression that carries ritual and, first of all, theological information.

The image of „Samayia“, brought to life in the sketch by Suliko Virsaladze, is a reflection of a set of values: faith, history, and value, which constantly connects us with the expression of „Samayia“, its

¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვახუშტი ბატონიშვილი, ისტორიული აღწერა, 1914, გვ. 18-19.

² ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. 187.

³ კენტაშვილი, სიმბოლიკები.

information, and its history. Virsaladze gave the face of „Samaia“ the value that this ancient dance deserved, he used as a source of inspiration the fresco of Queen Tamara, the most valuable in the history of Georgia. The colors used in the costume exactly correspond to the canon of Georgian frescoes and iconography. The decoration of the clothes is like a word strewn with pearls, which increases when reading psalms. Virsaladze’s „Samayia“ represents the highest form, unlike other Georgian dance costumes, and the form created in this way leaves an impression of a living fresco and also appears to us as the beauty of pronouncing a high speech.

If we consider it in such an expressive way, then „Samayia“ is an ancient name that has left a mark in Georgian memory and has stood the test of time, with its solid inner essence, expression, depth, and energy, the roots of which take us back to the origins of Georgian history. Even in today’s reality, aesthetics shows that this is true „Samayia“, created for the glory of God, awakening the beauty of the soul.

The history of Georgia is one of the oldest sources in the world, and the mysterious expression on „Samayia’s“ face is a carrier of information from the distant past. In connection with all this, in my opinion, his mysterious internal coding requires deep research.